

შპაპი შპაპი

იხარისხული
ქუჩა № 1.


1 იანვარი, 1911 წელი.

ივანე
1911
7


ფასი 10 კაპ.

ქოკელ კვირეული გამოცემა

1173



წყვიდა ძველი, დაჯდა ახალი
ბილწი, შაგბნელი, ვაიძე, წელი!



თფილისი. 1 იანვარი, 1911 წლისა.

ჩვენი იარაღია—სიცილი. იარაღები გარეშე სიცილისა, ცეცხლის მფრქვეველნი, სისხლის მთხეველნი სხვათათვის დაგვილოცნია. სამწუხაროთ, სასაცილო ჩვენს ცხოვრებაში ბევრია.

სასაცილოა, მაგალითად, დავიჯეროთ, რომ ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება, მართლაც წერა-კითხვას ავრცელებდეს.

სასაცილო იქნებოდა იმისი დაჯერება, რომ ილიას ძეგლს, მისი ჭირისუფალნი თავის ადგილას დასდგამდნენ და არა თფილისის სააზნაურო გიმნაზიის ბნელ სარდაფში.

სასაცილო იქნებოდა, გულს გული არ ეცნო და გოთუა ამირაჯიბს არ შერიგებოდა.

სასაცილო იქნებოდა, ქართული სასცენო ხელოვნების ქურუმთ, თავიანთი ბახალა თითონ არ მოსწონებოდათ და თავიანთი „ხელოვნებით“ კმაყოფილნი არ დაჩინილიყვნენ.

სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქართული გიმნაზიის მწვრთნელნი მართლაც წვრთნიდნენ და არა ამახინჯებდნენ ქართველ ახალგაზღვრებს.

სასაცილო იქნებოდა არ გაგვიცინებოდა, როცა გავიგეთ, რომ ივ. როსტომაშვილი, თუნდაც ორ კაპეიკიან გაზეთს აწარმოებს.

სასაცილო იქნებოდა ი. ა. ნ. ლორთქიფანიძის „ცხოვრება და ხელოვნება“, რაც არის, სწორეთ ის არ ყოფილიყო.

სასაცილო იქნებოდა, გრიგოლ რობაქიძეს ორმაგი სტიპენდია არ მიეღო და დროზე არ გასცლოდა მისგან თავ მოხერხებულ საზოგადოებას.

განა მარტო ეს არის სასაცილო?! სასაცილო ბევრია. და აი ჩვენც მიზნათ დავისახეთ: ჩვენი სიცილით გამოვიწვიოთ თქვენი სიცილი და ამით გავაძლიეროთ ჩვენი იარაღი.

მაშ ვიციანოთ, ვიდრე ჩვენი სიცილი საჭირო იქნება.

სიცილი ძლიერი იარაღია!

ს ი ც ი ლ ი.

ჯოჯოხეთის პირად ვიდექ, სამოთხიდან განარდი.

(სულ უბრალოთ გამაძვეს, არ მქონია ცოდვა დიდი!!) და გლახ იმედ წარნაკვეცმა თავი მივეც უხმო დარდებს!

ველარ ვშლიდი, ძველებურათ, ფრთებს, ჰაერში სანავარდებს; ველარ სჭრიდა შორე მანძილს თვალი, ცრემლით დანასველი, ვერ იქნევა მათრახს მწვავეს ძველებურათ ჩემი ხელი..

ჩემად სამტროდ განემზადა ზეციური ძალთა ძალი, მეგობარი არსით მიჩნდა, მტერი მერტყა გარს მრავალი!.. ზეცამ რისხვით გადმომხედა, შუქი ამარიდა მთვარემ, ღრუბლის ჩადრი მოიხურა მზემ, ლაყვარდში მოელვარემ...

ტყემ დუმილი შემაგება, ქარმა კენესა, ზღვამ დუღუნი, ფრინველთაც ხმა ჩაიწყვიტეს, დაეკარგა ყვაილს სუნი...

და ესრედ გულ-დანაკალი, ლამის წავხდი, დავიცარე, ლამის, იმედ დანაკარგი ცრემლის წვიმათ დავიდვარე. მაგრამ დახეთ:

ბედის წერამ

არ ამაღო ხელი სრულად:

თავში აზრი დამებადა, სწრაფათ, ელვა გადაკრულად.

ვთქვი: „რად ვარგა ცრემლთა დენა, დაღრეჯილი მედვას სახე?“

ვან დასცაროს „ვაი-ვიშით“

ცხოვრებისა სივავლახე?

მოდო ერთი გამოაწყვე

საეშმაკო ბადე, მახე,

გაზაღე ნადირობა

და სეირიც მაშინ ნახე!“

მომეწონა აზრი მტკიცე, გამიცოცხლდა კვალად გული, იმედმა ხმა ამოიბა,

აქიკქიკა, ვით ბულბული, სახეს ღიმი მოეფინა

შეწყდა ცრემლთა ნაკადული!..

ალარ შევალ სამოთხეში

კარიც დამხედეს გაღებული!..

ალარ მინდა ალარც ზეცა,

ალარ მინდა მზე და მთვარე,

არც გრიგალი მონავარდე,

არც ზღვის მკერდი მოელვარე.

მტრებს გავუძლებ, თუ კი სახეს

ლიმი შერჩა... გულს იმედი:
 — „მათ სიცილით მოინელებ!“
 ჩამჩურჩულებს ყურში ბელი.
 თქვენც იცინეთ ჩემთან ერთად,
 ვის წილად გხვდათ ოხერა, ვიში,
 სახეს ქმუნვა განაშორეთ,
 განაძვევთ გულით შიში.
 და როს მტერმა მოისურვოს
 ამოგვხადოს სული პირში,
 თქვენც სიცილით გაუსწორეთ
 ორგულს თქვენი ანგარიში.

ეზმაკი.

ქველმოქმედთათვის.

საზირო იგავი.

მეფე მეფეს წაეჩხუბა (ჩხუბი მეფეებმაც იციან). ერთმა მეორე სძლია და ორმოში ჩააგდო; (სასტიკი მეფეც შეიძლება იყოს). გამვლელმა დანახა ორმოში ჩაგდებული ადამიანი და ჩასძახა:

— ხომ კარგი იქნება, რომ ამოგიყვანო?

მეფე-სიამოვნებით დაეთანხმა. ჯერ კიდევ შვამდე არ ამოეწია თოკი, რომ ქველ-მოქმედმა კვალად ჩასძახა:

— ხომ კარგს ვშვები ზემოთ ამოყვანას რო გიპირებ!

მეფე კვალად დაეთანხმა. ქველმოქმედმა უკვე ორმოს პირამდე მოიყვანა მეფე და კვალად ჰკითხა:

— განა კარგს არა ვშვები, რომ ამოყვანას გიპირებ!

მეფემ ერთხელ კიდევ მადლობა გადაუხადა თავის მხსნელს. მაგრამ ის, ქველ-მოქმედებით გატაცებული კვალად და კვალად ეკითხებოდა:

— არა, ხომ კარგი ვქენი, რომ ტანჯვას გადაგარჩინე?! ველარ აიტანა საბრალო მეფემ და დაიყვირა:

— მიშველეთ, ვილაც კაცს ჩემი დახსნა განუზრახავსო.

მართლაც უშველეს და ისევ ორმოში ჩააგდეს.

სამეზმაკო მილოცვაები.

კარგათ ვიცი: ამ კუბლეტებს
 მისთვის არ ვინ გაიმეტებს.

რომ იხილავს:

„ლორებს“, „ვირებს“,
 ძებნას სხვაგან გაახშირებს.

იტყვის: „ეგ ხომ ნიკო არი
 მარტო ჭამის მიმდევარი?!“

იტყვის: „შემოხედეთ გიგას,
 მგელს, მტაცებელს, როგორ მიჰგავს!!“

შემოხედეთ კარგათ დიდისს,
 ყურთა თრევა რაზომ უმძიმს,
 შემოხედეთ იმას, ამას,
 ზოგის დედას, ზოგის მამას,

ყველას უჩანს რამე ნაკი,
 სკირს მხეცური ფათერაკი“.
 თითონ ის კი,
 როგორც წინათ,
 იმზომ წყნარათ, არხენინათ,
 „ღირეს მისას“ არ უყურებს,
 ვერ ამჩნევს მის
 „ვირულ“ ყურებს.
 რა ვუყოთ ამ უბედურებს?

ქართველ „ვირებს“.

ვუქებ რა წელს,
 მკვიდრს და გამრჯელს,
 სიტუტუტით გასაკვირებს,
 საახალწლო სალამს ვესვრი,
 პატავცემულ ქართველ „ვირებს“.

დააკვირდით
 იმათ ქვიქვირთ
 ლიმი უქრის...
 ხომ არ გიკვირათ?

შემოხედეთ იმათ ყურებს,
 (ქოლგებივით მონახურებს)
 რა მ-ხდენით აპანტურებს!

ის შვილია
 ქართველ დედის,

მადლიერი თავის ბედის.

თუ აცვია ტანზე ლურჯათ,
 თავი მოაქვს ქვეყნის ბურჯათ.

სადაც არ გეჭიროს თვალი,

ყველგან მოსჩანს
 მათი კვალი,

სიტუტუტით გაუვალი.

ცალ-ცალკე რომ მოვყევთ ყველას,
 ვერ აესცდებით ხათაბელას,

რადგან: დათვლაც გაგვიჭირდეს

ვის „ვირობა“ სენათ სკირდეს.

გლენი გინდა,
 გინდ ვაჭარი,

აზნაურთა მთელი ჯარი,

გინდ მსაჯული,

გინდ დამცველი,

გინდ ექიმი,

გინდ მძარცველი,

გინდა ბრძენი პედაგოგი,

გინდ მწერალთა მთელი ჯოგი,

გინდა ერი, გინდა ბერი,

გინდ მორჩილი, გინდ ხნიერი,

ყველგან ნახავთ ქართველ „ვირებს“

სიტუტუტით გასაკვირებს.

ქართველ „ლორებს“.

წმინდა ჯიშის ქართველ „ლორებს“
(სიბინძურის პროფესორებს!)

ვინ სჩუქნიან
ნაგვის გორებს
იალბუზის მისასწორებს,
მიეულოცავო დღეს ბედნიერს:
ახალგაზრდას, ყმაწვილს ხნიერს.

დააკვირდით იმის სახეს.
სიმახინჯეს, სივაგლახეს...
როგორ უცმატურებს დინგი!...

(სუნს იყნოსავს მითი იგი!)

მულამ ხენეშის,
მულამ ქშინავს,
(ფხიზელია ის, თუ სძინავს!)

თვალეებს დაბლა რომ აცეცებს,

მულამ სჩუქნის,
მულამ ეძებს,
რომ არ არჩევს
წმინდას, ბინძურს,
მალლა ვერ სწევს
ვერც თავს, ვერც ყურს,
ქონის ზოდი რომ გაუკრავს,
ტანი მრგვალი
(ძებნს მიუგავს),
რომ სქამს, რასაც მოახელებს,
(ქვას და რკინას, რა ინელებს)
რომ არ არჩევს:

მწიფეს, მკვახეს...

ალბათ იცნობთ ამგვარ სახეს!

მათ შესახებ მე ეს ვიცი:

ნასწაველია,
თუ უვიცი,
ყველას ერთი აქვს პროგრამა:
მხოლოდ ქამა,
მხოლოდ ქამა!

ქართველ „ჯორებს“.

„ვირთა“ და „ლორთა“ მისასწორებს,
სალამი, ჩვენს ქართველ „ჯორებს!“

სიჯიუტით,
(თუ თქვენც იტყვით!)

ის ორივეს წააშორებს.
ბევრსა შრომობს,
ცოტას კი სქამს.

(სულ არ სქამდეს, უკეთ იზამს!)

არც მამა ჰყავს,

არცა დედა,

ჯორის ჰქონდეს მას შეხედვა.

არც მემკვიდრეს სტოებს თვისას...

(„ღვაწლს“ არა სცნობს ფილიპისას!)

არც აქვს ენა,

არცა ტომი,

ცხოველია შესაჯდომი,

და ვინაც კი დაიურებს

ამგვარ ქართველ ბედაურებს,

არ ღარჩება უმადური:

ჯორმა იცის სამსახური.

მაგრამ, თუ ის გაჯიუტდა,

ეშმაკები თუ შეუჯდა,

ნურც იფიქრებთ

მორჯულებას:

ალემატოს თქვენს შეძლებას.

ქართველ „ცხენებს“.

რადგან უინი არ მასვენებს,

მოვისხენებ ქართველ ცხენებს“.

არც კი ვიცი

ზედ ვინ აზის,

არც კი ვიცი

ვინ აქენებს.

არა ჰგვანან არაბულებს,

(თუმც თავის ჯიშს არ კადრულებს),

ქიზვანი არ უგავთ ქიზვინს

(ვირში ვერც გაარჩევთ იგინს!)

დაჯაგლაგდენ... სჭირთ წელკავი...

შერჩათ ძვალი, ძვალზე ტყავი...

ალარც შნო აქვთ,

ალარც ფერი,

გახდენ როგორც სპიჩკის ღერი.

ალარც მოკვდენ,

არც ცოცხლობენ,

მტერ-მოყვარეს ველარ სცნობენ.

მაშ რაღა მათი ყოფა?

მარტო ჩილა არ ეყოფა

თითო მათგანს ოცი კონა,

და მაკვლელათ ოთხი მონა.

ქართველ „ფინებს“.

ამ საბრალო კუდიანებს,

(კაკარდოსან ქუდიანებს)

ჩვენში ეგზომ განახშირებს.

პაწაწინა ძაღლებს—„ფინებს“,

სამსახურში წინ წაწევა

რომ სტანჯავს და
 არ აძინებს,
 ეშმა გულით მიულოცავს.
 შეხეთ, ფეხქვეშ
 როგორ ცოცავს!
 შეხეთ, კუდს რო აკანტურებს,
 როგორ კოხტათ ცქვეტავს ყურებს,
 შეხეთ, როგორ ულაქუცებს,
 როგორ ლოკავს ფერხთა ქუსლებს,
 შეხეთ, როგორ გორავს, დნება,
 ფეხზე როგორ ეტპასნება?
 ოჰ, ამა დარს
 ერთგულ ცხოველს,
 ჩვენ პატივს ვცემთ,
 ხოლმე ყოველს.
 ჩვენში ძლიერ ხშირობს იგი...
 იცის წესი,
 იცის რიგი...
 იცის სად რა გასჭრის შრომა,
 რა შემოდრომ-გამოდრომა.
 ვთქვათ, დრო ითხოვს მას ეგება:
 მყის ფეხებ ქვეშ გაგეგება.
 თუ შეგატყო
 სახე მწყარალი,
 იკუნტება ის საწყალი...
 თვალებს ნაბავს,
 ლურსავს ყურებს
 და იმ გვართა შემოგყურებს,
 რომ გიქრება რისხვა გულის,
 გრძნობა გიპყრობს სიბრალულის.
 იცის მოკრძალება, შიში. .
 ჩვენ ბევრი გვყავს
 მათი ჯიში.

ქართველ „მგლებს“.

ნადირებზე გადავიდეთ...
 „მგლებს“ პირველად
 უნდა ვთვლიდეთ.
 ვინ არ იცნობს იმათ კბილებს,
 დაუნდობელ ბასრ მახვილებს?
 ვინ არ იცნობს იმათ ტორებს?
 დაპკრავს პირუტყვს, გააგორებს...
 ვინ არ იცნობს
 მგესლავ თვალებს,
 ღამეში რომ აბრიალებს?
 ოჰ, ქართველი „მგლებს“ ჯიში,
 მრავალია და საშიში!

ალარც დაბას,
 ალარც სოფელს,
 ალარც მთა-ტყეს,
 არც მინდორ-ველს,
 არ აქვს მათგან მოსვენება,
 ძრწიან როგორც მოჩვენება.
 ხან რას, ხან რას მოიტაცებს,
 (არა ჰგვანან
 ქურდ ბაცაცებს).
 მან აშკარათ იცის ღლეტა
 თუ კი თავი გაიმეტა...
 ჩვენ ხშირი გვყავს
 მათი ხროვა,
 ყველგან დადის მთელი გროვა...
 გინდ უკითხო სახარება,
 მაინც ტყისკენ იყურება.

ქართველ „მელიებს“.

ენა ტკბილს და
 გულით ცუდებს
 საქართველოს „მელა-კუდებს“
 ბევრი ძებნა არ სკირდება:
 გაიხედავ, თვალში გხვდება.
 ის ცუდლუტი, ნავსი, ქოსა,
 თაფლს გიდენდეს პირით როსა,
 საფლავს გითხრის
 ფერხთა ქვეშა
 გაიძვერა და ქვეშ-ქვეშა...
 არ გაბედოთ მისი ნდობა
 გინდ შეგფიცოს
 ძმობა, დობა...
 არ ერწმუნოთ იმის ენას,
 თორემ მოგვეგვის
 ცრემლთა ღენას:
 მოგატყუებს, მოგაღორებს,
 მთასა და ბარს გაგისწორებს.
 „ჰო“ რო გითხრას,
 „არა“-დ მიხედით,
 თორემ შავად გადაგიხდით.

ქართველ „ბატებს“.

არშიყ გულთა ანდამიტებს,
 პატოსან ქართველი „ბატებს“,
 სალამს ვუძღვნი
 ახალწლიურს,
 რობაქიძულ—პლატონიურს.
 შეხეთ, კისერ-მონადერი,
 როგორ დადის თოყა, შტერი!!

ფეხთ „ბორკილი“,
 თავზე „გობი“
 (პირ უკულმა დანამზობი)
 ყელზე მელა,
 წელთ კარსეტი,
 თავი მზატე და ჩერჩეტი.
 ენა გრძელი (უძვალ რბილო),
 სიტყვა ჩლუნგი და უკბილო.
 მიხვრა მოხვრა
 ხელოვნური,
 სახე ცარციტ შენამური,
 თმები ძუით შენავსები,
 (არა ერთ გზის შენაღები..).
 ერთ ღირსებათ ისიც კმარა,
 რომ ბადუნობს წარა-მარა,
 რომ თხზავს ქორებს
 მრავალგვარებს,
 (ამ შრომას არ დაიხარებს)
 და ამ ქორებს
 უშნოს, უგვანს,
 გადაუტანს უბნით უბანს.

ეშმაკი.

საუპუნო ძალაძი.

ორი კვირის მგზავრობის შემდეგ, როგორც იქნა, რიონის სადგურს მივახწიე.

— მაღლობა ღმერთს, ვფიქრობდი მე: შვა გზაზე ვარ უკვე! ორი კვირა კიდევ და ქუთაისში ვიქნები!

გადავჯექი ქუთაისის მატარებელში; სულ ათიოდე ვერსი მქონდა გასავლელი, მაგრამ, ვინაიდან ქუთათური ორთქმავალი ერთ ვერსს ორს დღეში გადის, შურის თვალით ვუცქეროდი ღიანდაგზე მიმავალ ბატს, რომელიც თან და თან წინ გვისწრებდა და ვფიქრობდი: „ბედნიერი! ეს სულ რამდენიმე საათში ამოჰყოფს თავს ქუთაისში, ჩვენ კი კვირაობით უნდა ვიყოთ გზაში“.

— სად-მიდინარ? ნუ მი-დი-ხარ! სად-მი-დი-ხარ? ნუ მი-დი-ხარ!...

გაჯავრებულის რახარუხით მაფრთხილებდნ ბორბლები, მაგრამ მათ მე ყურს არ ვუვადებდი, რადგან თავი განწირული მქონდა და ერთხელვე გადაქრილი აზრის შეცვლას და გზიდან დაბრუნებას არ ვეკადრებდი.

თუმცა ჩვენი მატარებელი ყველაზე უფრო ზანტ კუზე ნელა მიჩოჩავდა წინ, მაგრამ ქუთაისთან მიახლოვებას უფრო და უფრო აშკარათ ვგომწობდი:

თან-და-თან მეკარგებოდა ის სულიერი და გონებრივი ინტერესები, რომელნიც რიონის სადგურამდე ჩემგან განუყოფელათ და მასაზრდოვებლათ მიმანდა: აღარ მახალისებდა არც პოლიტიკა არც მეცნიერება, არც ხელოვნება. ორიოდე გაზეთი და წიგნი, რომელიც გზას მიმოკლებდა და მართობდა, თითო-თითოთ გადავადე ფანჯარაში, დაუნანებლათ, რაღაც ხარბი კმაყოფილებით.

ამასთანავე თანდათან ახალი, ქუთათური ინტერესები და გემოვნება იღვიძებდა ჩემში:

ძლივს ვითმენდი ვაგონში ყოფნას, ტანჯვით ვუცდიდი იმ წუთს, როდესაც შემეძღებოდა ერთ-ერთ დუქანში შესვლა და გემოზე გამობრუყვა.

ამგვარივე ტანჯვით და მოუთმენლობით შეპყრობილი ვუცქეროდი ერთ მეზობელს, რომელსაც თან მოჰქონდა დიდი ჩანთა: განუსაზღვრელათ მაწუხებდა ის გარემოება, რომ მე დაახლოვებთაც არ ვიცოდი, რა ჰქონდა მეზობელ მგზავრს ამ ჩანთაში.

ფანჯარასთან ტკბილათ მუსაიფობდენ ახალგაზნა ქალ-ვაჟი. მართალია მე არა ვიცოდი, რა დამოკიდებულობა იყო ამ ორს, სხვა და სხვა სქესის ყმაწვილთა შორის: ნათესაური, რომანიული თუ მხოლოთ მეგობრული ან ამხანაგური, მაგრამ მაინც ვამბობდი:

— დაიცადეთ, თქვე გარყვნილებო! ჩავიდე ქუთაისში: უპირველეს ყოვლისა თქვენს ვინაობას შევიტყობ და დაწვრილებით ვუამბობ ყველა ნაცნობებს, თუ როგორ ურცხვათ არსიყოთ ამ გზაზე!...

ჩემს თანამგზავრებსაც იმ გვარსავე ცვლილებას ვამჩნევდი, როგორსაც მე განვიცდიდი....

ამბობენ: დედა-მიწის ზურგზე არა არის რა სამარადსო.

ტყუილია! ქუთაისი, ყველა მისი შენობებით, მცხოვრებლებით, ბულვარით და თეთრი ხილით, ქემშარიტათ საუკუნო ქალაქია, გაქვავებული და უცვლელი...

ყოველ ქალაქში მოიპოება ისეთი რამ ღირსშესანიშნაობა, რაც მას სხვა ქალაქებისაგან არჩევს.

ქუთაისის ღირს შესანიშნაობას შეადგენენ:

საქურისები, „ჩისტები“, კოპწია თავადები, ბაგრატი IV ის ნანგრევები და ორი ანტიპოლი: კირილე და კალისტრატე.

გარეშე აქ ჩამოთვლილ საგანთა და კაცთა ქუთაისის არ წარმოიდგინება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ XIV საუკუნეშიც აგრევე უცვლელათ არსებობდნენ ქუთაისში ბაგრატის ნანგრევებთან ერთად შავტრუხა „ჩისტები“, ტან-წერწეტი თავადები, თეთრ ყირმიზი კირილე დი ქალარა-შერთული კალისტრატე.

აგრევე უცვლელათ იარსებებენ ესენი XXV საუკუნეშიაც...

მშვიდობით ჩამოვდგი ფეხი ქუთაისის სადგურის ბაქანზე.

არ ვიცი, ვის ვაკუთვნო პირველობა: ნიკო ცხვედაძეს თუ ქუთაისის სადგურის შენობის ხუროთმოძღვრებს.

როგორც მოგეხსენებათ, პირველმაც და უკანასკნელმაც საბოლოოთ გადასჭრეს მექანიკის უურთულესი საკითხი, საკითხი „Perpetuum mobile“-სი, ანუ მარად მოძრავი მანქანისა.

თბილ. ქართული გიმნაზიის შენობა და ქუთაისის სადგური ნათლათ ამტკიცებენ მარად მოძრაობის პრინციპის სისწორეს, ვინაიდან მუდამ ნგრევა-შენებაში არიან.

თითო კედელის შენებას თითო საუკუნე სჭირდება. ამ დროს განმავლობაში აშენებული კედელი ინგრევა, ხოლო სანამ დანგრეული შესწორდებოდეს, კიდევ სხვა ინგრევა, და აი ასეთი მექანიზმის წყალობით ჩნდება ის ჯაღო-წრე, რომელიც ბრწყინვალეთ სწყვეტს პერპეტუუმობილეს საკითხს...

მივაშურე ბულვარს. მშვენიერი დარი იყო და მრავალი ხალხი დასეირნობდა. თავში ცულღუტმა აზრმა გამიბრინა. ვინაიდან მე ყველას კარგათ ვიცნობდი (ქუთაისში არავინ არ იცვლება), მე კი ვერავინ ვერ მიცნობდა (10 წელი გავატარე ქუთაისის გარეთ), განვიზრახე ცოტა გათამაშება. დავიქირავე ეტლი და, თუმცა ცა სრულიად მოწმენდილი იყო და ცხრა თვალი მზეც ელავდა, ვუბრძანე ეტლის დახურვა.

ბულვარის მთელმა ხალხმა ჩემკენ იბრუნა პირი, ქუჩის მგზავრებიც გაჩერდნენ და აუწერელი ცნობის მოყვარეობით ადევნებდნენ თვალს ჩემს დახურულს ეტლს.

რამდენჯერმე შემოვუარე ბულვარს, ცოტა ხნით სობოროს მხრით შესასვლელ ქიშკართან გავჩერდი და როცა ბულვარი თითქმის სულ დაცალიერდა და მთელი ხალხი ჩემს დახურულ ეტლს მოაწყდა, უცებ გავაქანებინე ეტლი და ივანოვის

ქუჩით წავედი. ვგრძნობდი, რომ ხალხი სახტათ დარჩა და ათასი ფიქრი ებადებოდათ ახირებული კაცის შესახებ, რომელიც შევნიერ დარში დახურული ეტლით დასეირნობს.

— მოიცადეთ, ქუთათურებო, ვფიქრობდი მე: ვეცდები დავაკმაყოფილო თქვენი ცნობის მოყვარეობა.

ეტლი გავისტუმრე და ფეხით გავუდექი გზას. თავგუნა.

(შემდეგი იქნება)

ჩამი მილოცვა

ვარი ვერ ვუთხარ წმინდა ბასილს, ბაბუ-წვევრასა, და აი ვიწყებ საახალწლო ლექსის წერასა; ამ ყინვა ღამეს დაფუტევენ ჩემს ტუბილს კერასა და ჩამოვუვლი ყველა ნაცნობს: შავს თუ ქერასა.

ქართველ მგოსნების მივადგები, პირველათ, კარსა და მოწიწებით, კრძალვით, შიშით ჩამოვკრავ ზარსა; ზოგს მიულოცავ თოხს, ზოგს ნიჩაბს და ზოგსაც ბარსა;

თუ რომ ყველას ხვდა თითო-თითოთ, ამოდენ ჯარსა. ფეიცავ მიცხოვარს, ჰე მგოსნებო, მის წმიდა ჯვარსა, კალამზე კარგათ თოხს მოიხმართ, ნუ იტყვიან ვარსა!

შემდეგ ვეწვევი ქართულ თეატრს „განახლებულსა“, შიგ შევავარებ ღვინით რუმბაა, სარდაფს გდებულსა, და რა იხილკენ თვის სტიქიონს განდიდებულსა, მყის მიაგდებენ ხელოვნებას, ეგზომ ვნებულსა... იქნებ ამ ხერხით მოვიშოროთ აბეზარები და გამოვიხსნათ ჩვენი სცენა განამწარები.

ახლა ჩავუვლი ჩვენთ აზნაურთ გიმნაზიასა; მას ვერ მივართმევ ვერც კოკობ ვარდს, ვერც ნახაისა.—

სავათმყოფოს მივულოცავ დარბაზიანსა, და როს მოწაფე აღმზრდელს მისცემს მკირედ ზიანსა, იქ განიკურნავს წყლულს, ქრილობას ბაღლაშიანსა...

აწ ფერხთ მივაქცევ ხუცებისკენ, მუნ ვიწყებ რებას, და საახალწლოთ ვუთავაზებ მათ სახარებას; კარგი წიგნია, ჩემის აზოით; თითონაც ნახონ და ოდნავ მაინც თვის ცხოვრება მას შეუთანხმონ.

თვალი მოვკარი სტამბის კართან როსტომაშვილსა, „სინათლეს“ რომ სცემს, ჯიბეს იღებს კაპეიკს წყვილსა.

სინითლეს ცემა არ აკლია, ბატონო ვანო! სხვაგან ივაჭრეთ, ღვთის გულისათვის, გვამო მხცოვანო!

თავგუნა.

პირველი ლექცია.

შესახებ „ეშმაკის მახისა“.

აი, ძვირფასნო თანამშრომელნო,
გარემო ჩემსა მწყობრათ მჯდომელნო.

ჩვენ ეს „მოვთაღიეთ“

„ეშმაკის მახეთ“,

საფუძვლიანათ გასინჯეთ, ნახეთ.

აქ რაა ძნელი, გაუგებარი?

წინიდან, ხედავთ? პატარა კარი,

რომელსაც უნდა ებას ბაწარი.

ის თქვენ გიპირავთ იქვე, ახლორე,

უნდა გფარავდეთ:

ან ხე, ან ყორე,

თორემ ამ ჟამად თვით მონადირებს
სდევნიან ვითა მხეცებს, ნადირებს.

ვიდრე ბაწარსა

მოჰკიდებდეთ ხელს,

მახეში შედებთ „მისატყუებელს“,

და საფარიდან აღევნებთ თვალ-ყურს

მსხვერპლს საეშმაკოს,

ბეჩავს, უბედურს.

„მისატყუებელს“ თითონ აარჩევთ,

(სად რა ივარგებს

უკეთ გაარჩევთ...)



ს ა ე შ მ ა კ ო მ ა ხ ე ე შ მ ა კ ი ს ა .

უნდა იხმაროთ სხვა და სხვა გვარი,
ვინაც რაზეა დანაგეშარი.

ზოგს მიიზიდავს ოქრო ბჰყვრილა...
(ერთობ დიდია იმისი ძალი)

ვერცხლსაც შრავლად ყავს

მაძიებელი,

და არ დააკლოთ არც იმათ ხელი.

ზოგ-ზოგი „ჩინსაც“ მოეტანება,

იმათგანც ნურვინ დაგენანება.

ზოგი, დიდებას, „სახელს“ ეძიებს

(ეშმაკი რას არ გააბედვებს!!!)

ზოგი შიშითაც შეიმალება,

ნურც მხდალი ვინმე შეგებრალება.

ზოგს თფილი ბინა ეგონება ესა...
(შემდეგ გაიცნობს „ეშმაკის მახეს“!)

ზოგი შეძვრება მოსაპარავათ,

თუმცაღა საქმე წაუვა ავათ...

რაღა ბევრი ვთქვა, თითონ შეატყობთ

რაც გამოდგება და მას შეაწყობთ.

მერმე ჩაჯდებით

და უთვალთვალვით,

მართალი არის, ცოტას იწვალვით,

მაგრამ მოიპკით

მდიდარ სამკაულს,

იცით რას ნახავთ???

—ნახავთ სასწაულს!!!

ხედავთ... მოძვრება საჭირო გვაში,
(რა ძვირფასია იცით ეგ ჟამი!!)
მოღის ნელ-ნელა, წინ დახედულათ,

თვალეებს აცეცებს

მხდალათ, ქურდულათ;

თქვენ კი უყურებთ და იღიმებით:

—„მოიცა, მალე გაიჭიმებით!!!“

აი მიაღვა მახისა კარებს!

(ალბათ შესვლასაც არ დაიზარებს.)

ხედავთ, ტუტუცი, კიდეც შეხოხდა!

ოჰ ღმერთო ჩემო! აგი რა მოხდა?

მახისა კარი მსწრაფლ დაიხურა

და შიგ მოემწყვდა ჩვენი ღიდ-ყურა!

შემდეგ მიხვალთ თქვენ

მორიდებულათ

(ტყვესთან სიმკაცრე არ ვარგა სრულათ)

გაიგებთ: სიდან მოედინება,

მახეში შესვლა რისთვის ინება,

რა ჯურისაა და რა ცხოველი,

(დწვრილებით მსურს ესე ყოველი)

რა საქმეს ადგას,

რა ღმერთს მსახურებს,

(ვინ იცის, იქნებ ტყვილად ფაფხურებს!)

აღნუსხავთ ყველა ცნობას ამგვარსა,

და საგანგებო წერილის, უსტარსა

აქ, მთავარ ეშმაკს, წარმომივიღინებთ

შემდეგ... დაწვებით და დაიძინებთ...

ეშმაკი.

საახალწლო მისტვირული

(ბათუმისთვის)

წელიწადი გადის, რომ

სტვირზე არ მიმდგრია,

აღარ მითქვამს სამისო

სიტყვა ერთი ღერია.

ვზივარ ჩემთვის მუნჯივით,

ცხვირი დამიღერია,

დავსდებ საცო ბაგესა,

შიში შემომერია.

თუ რამე ვსთქვი, ამ ქვეყნად

ყოფნა არ მიწერია

(ვინ მოსთვალოს ბათუმში

რამდენი ოხერია,

და თუ ყველა ამიტყდა,

ვინც აქ ჩემი მტერია,

ეშიშობ, ეშმაკს არ სძინავს,

ვაი თუ მომერია!!)

თუ არა და, აიშვეს

ვასქდა მათი კერია,

გამკითხავი რომ არ ყავთ:

ერია თუ ბერია,

მტყუანი და მართალი,

ატყდენ, თქვენი მტერია!

გადალახეს ქვეყანა,

ნახეთ რა სამხერია!

ამიტომაც ეს სტვირი

ხელში დამიჭერია,

ავხსენ საცო ბაგესა,

დღეს დღე ბედნიერია,

მოთმინება აღარ მაქვს,

რაც ვითმინებ ბევრია,

რომ უმანკო ცხვრის ფარას

მგლები ჩამოერია;

გუშინდელი უვიცი

და ტუტუცი ნამდვილი

დღეს საქმეში ეჩხირვის,

სჭარბობს საქმეს ქადილი.

მისი დარდი ერთია,—

ვახშამი და სადილი,

ცოლს ადგილი უშოვოს

უზომო აქვს წადილი:

მიტომ ყველგან შეძვრება

„სარეჩო“ დამზადილი.

ამ თავხედის დატუქსვა

ნუ გგონიათ ადვილი,

თუ წკებლით არ აღწვი

საბანღურო ადვილი.

წამომდგარა კრებაში

ვილაც თავქარეული.

კუროსავით კიბანობს,

ომობს ხელ ჩარეული...

მტერ მოყვარეს ვერ არჩევს

აზრებით გარეული

ანს ბანზე ვერ მიაბამს

ეს დავთარ არეული.

თხოვნა კი მიუცია,

ადგილს ეძებს წყეული,

(იგი სამკითხველოში

აქვს მას გამორჩეული)

მისთვის ყვირის თურმე ის

ასე ბრაზ მოარეული...

შეიბრაღე, უფალო,

მტერი მზამზარეული,

რამდენი გყავს, ნეტავ, შენ
 ვგზომ გადარეული?!
 აგერ კაცი მორთული,
 ჩინებულათ აცვია.
 იცით რით შეიძინა?
 რომ ვსთქვათ, ის ნაძარცვია,
 შრომა სძულს, ეზარება,
 უზომო ზარმაცია,
 საზოგადო საქმე მან
 საკინკლაოდ აქცია;
 ვიცნობ კარგათ ამ ბატონს
 რაც ვარდია, რაც ია,
 სენი რამე აწუხებს,—
 თავის „ქირქილაცია“,
 (თავი ამ სენს განიცდის,
 როცა ის ხარხაცია),
 თოხაძესთან გაგზავნეთ,
 ახლეთ დებუტაცია,
 სთხოვეთ, რამეს უწამლებს,
 (ის კეთილი კაცია).

კრება ცხრაას ცხრა წლისა,
 ვის არ გაეგონება,
 (ცენზათ სამი მანეთის,
 რომ სჭიროდა ქონება)
 იქ კმაწვილმა ხრიკებით
 მორთო გაბატონება,
 როს გაეზომე იმისი
 კარგათ ქკუა-გონება,
 რომ ბევრი არ ვიცრუო
 დრამს არ შეეწონება.
 დღეს თუ რამე უთხარი,
 ხვალ არ ემახსოვნება,
 არ ემჩნევა კურთხეულს,
 დარდი, არც დაღონება,
 სულ იცინის, სახეზე
 აზის სიამოვნება.
 სხვისი პურ-მარლით სურს
 მას დედ-მამის ცხონება,
 უყვარს ძმაბიჭებიდან
 ჩუმ ჩუმა „გაგონება“
 კინწლაობის გულისთვის,
 ჟინის დაკანონება
 და შურს მაზე იძიებს
 ვინც არ დაემონება.
 ვიცი, ჩემი ნათქვამი
 მას არ მოეწონება:
 რომ „როზგია“ საჭირო
 მისთვის თუ იზოვნება.

ერთიც არის, მარა რა,
 იგი სხვების კუდია,
 უმეცართა სიაში
 სწორეთ იაგუნდია.
 სხვათა წმინდა აზრების
 უსირცხვილო ქურდია:
 მარცხად ქაბეთს გაგზავნეს,
 თუმცა მარცხი ცუდია.
 თაფფუტურა დაბრუნდა
 მოეგლიჯა ქუდია,
 (ან კი რას მოიტანდა
 რაც შიგ არ ჩაუგდია!)

გავათავე ამითი
 წაცხუნ წამოცხუნება,
 და აწ სტივრი რომ დავდვა
 აღარ გამემტყუნება.
 ვხედავ გულაც ირუტვის
 მომიშალა გუნება,
 სტივირმაც ხმა ჩაიხლიჩა,
 აღარ მედუდუნება.
 საკვირაოდ მჭირდება
 კიდევ აღრაკუნება
 და მანამდის მშვიდობით,
 ნურვინ დამემდურება!

ა. ძლიევასძე.

გილოცვები

(სამტრედიისათვის)

ახლად არჩეულ დებუტატებს.

ახალ-ახალ დებუტატებს,
 (ვინ ბოლოკს ვავს, ვინ კუბატებს),
 „ეშმაკისა მახისათვის“
 ცოდვებს ვერვინ მიუმატებს.
 საკუთარიც კი იკმარებს,
 ისიც მიგვრის შიშის ქარებს.

წერა-კითხვის განყოფილებას.

დაიძინე გენაცვალე,
 დაიძინე წყნარათ, ტკბილათ..
 ძილის პირი შემოიღე
 ყრმათა ჩვენთა გაკვეთილათ.

დებოს მუშებს.

განურჩევლათ გლოცავთ ყველას-
 სამტრედიელ დებოს მუშებს.

წითელს, ყვითელს, თეთრსა და შავს,
პატოსნებს და ჯაშუშებს.
ის აჯობებს შარშანდულათ
კვლავ იძინოთ მშვიდათ წყნარათ,
ნარდი კარტი, გაახუროთ
მშობლის გულის გასახარათ.

სცენის მოყვარეთა ახალ ჯგუფს.

გისურვებთ რომ სცენის საქმე
არ გდგმოდეთ ვით ძროხას კეხი,
და უაზრო მოქმედებით
არსად წაგეტეხოთ ფეხი.

(სამეგრელოსათვის)

ემშაკთა დილა მეუფევ,
მიიღე ჩემგან სალამი!
შენის ბრძანების თანახმით,
ხელში ავიღე კალამი.
თან შავი ფრთები გავშალე
და ავუკიდე კამარა:
თავსა ვეველები მთელ ოდიშს
გულა-ნაბადის ამარა.
ნაბადი ზურგსა მიმოსავს,
წვიმები იცის ხშირია,
გულაში სულსა ჩავებრავ,
მახედ მობმული სტვირია,
დავუკრავ ავაქიქყინებ:

გლებებს.

„არაღე, ლაღე, ლაღეო!
მსუქანი ღორის ღორები,
გლებო, დაჯექი, თაღეო!
ღვინო გაქვს გულაუთური,
გადაჰკარ მალი-მალეო:
ახალის წელის ხათრია,
ღღეს თავი მოიმთვრაღეო.
იქნება ძველს წელს ემღური
და ჯავრიც გჰირდეს მისია,
ხარჯი მოსავალს რომ სჰარბობს,
ბევრმაც მოვთხოვა „ნისია“:
ხუცესმა ორი მანეთი,
ორიც—სხვამ, ორიც კიდევა...
მიდის და მიდის ფულები...
ვალი კი აღარ იღევა.
მაგრამ ახალს წელს იმედიც
ახალი მოსდევს, ძამია;

რასაც ყოვლის მხრით გტაცებენ,
ვაი, თუ ბოლოს შხამია!..

საეკლესიო კრებულთ.

წარსულ წელს დრამის აბოქვას
ბევრი დასჰირდა „ხლაფორთი!“
სულ აიკელით თხოვნებით
ხან ქუთაისი, ხან ფოთი.

ეხლა კი ხელში გიპყრიათ
თქვენ სახალწლო დინგები,
მაგრამ დიაკონს რაღა სჰირს,
რომ შეუყრია ტლინკები?

დამღგარა საყდრის კარებში,
მღვდელზე მუშტ-მოღერებული.
მოდი და ნახეთ თუ გნებავთ
საეკლესიო კრებული!

მღვდელს დიაკონი ფულსა სთხოვს,
რაც რომ ერგება დრამისგან.
ხუცესს მუცელი ფართე აქვს
გარდანამეტი ქამისგან;

ის ისევ მრევლზე იშვერს ხვლს:
კვლავ არის ასაბოქიო:
ვის ძროხა უნდა წაყვართვა,
ვის ქათამი და გოქიო...

შევეკრებ და მოგცემ შენს ნაწილს,
რაღა კარებში მხვდებიო!
შემიშვი... დროა, ხომ ხედავ,
ეხლა ღმერთს ვევედრებიო!..

ოღარი ჩამოიკიდა,
გადაისახა პირჯვარი
და... „კურთხეულ არსს“ იძახის,
აღსავლის კარზე მიმღგარი.

დიაკონი კი პასუხათ
არ ეუბნება არასა:
— „ხუცესო „ამინს“ არ გეტყვი,
სანამ არ მომცემ „ფარასა“..

გხედავ აქ წელი ახალი
დავიდარაბით იწყება!
ფუ! ისევ გუდას ჩავებრავ,
თორემ სულ გამოიკლება...

ზუბრებს.

აწ ზუბრთა ამა მხარისა
ვულოცავ ახალ „წანასა“,
ვულოცავ შეცვლილ დროებას,
მათფინ საამო ხანასა!..

სიზუბრე მათის ზუბრობით
ყოველთვის იყო ქებული,

სანამ მათ წინამძღოლობდა
 ცნობილი ვარადებულო.
 წარსულ წელს არჩევანებში
 თუმცა შეირცხვინეს თავები:
 უმუხბოლეს ყოფილს წინამძღოლს,
 ჩაუჩხრიალეს შავები,
 მაგრამ ზუბრობას იმათსა
 მით არ მოელოს ზიანი:
 ზუბრი კვლავ ზუბრი დარჩება
 ტანად ზორბა და რქიანი,
 ჩხუბში, სმაში და ქამაში
 ხელსწრაფი, ბარაქიანი,
 გლეხის წინ ცეცხლის მფრქვეველი,
 ძლიერთ წინაშე ღვთიანი!..

ზუგდიდისათვის.

აწ ზუგდიდისკენ ვისწრაფვი,
 ფრენით, არ „რკინის შარა“-თი.
 იქ დიდის ეშმაკისაგან
 მიმაქვს მოკითხვის ბარათი.
 მინდა შევიტყო სხვა და სხვა
 ამბავი, დანაბარები:
 ნეტა სად არის აქამდის
 ი „წიგნთსაცავის ფარები?“
 ორს წელზე მეტი გავიდა,
 რაც შეიკრიბა ფულები.
 ნეტავ ვის ხელში არიან
 დაზოგვილ-შენახულები?
 თუ სხვა ქალაქებს კასა აქვს,
 აქ ბევრი გახლავთ მუცელი:
 თუნდ იყოს ასიანისა
 ასი ათასი ფურცელი,
 ორს დღეში ისე მონელდეს,
 ერთიც არ დარჩეს მრთელადა:
 გიყვარდეს მწვადი, სუკები
 და ღვინით სავსე ხელადა!..

მასწავლებლებს.

აწ ხალხის განმანათლებელთ
 მინდა მივუძღვნა სალამი:
 მარკვით, როგორის წარწერით
 ხელში გიპყრიათ ილამი?
 ზედ არ სწერია „ერთობა“,
 არც „ძმობა“, არცა—„კავშირი“.
 მოსჩანს რაღაცა ნაჯღაბნი,
 თითქოს წაუსვამთ ნახშირი:
 „შუბლზე აიკარ კაკარდა,

სახეზე გეცხოს მურია,
 უფროსებს მოელაქუცე,
 ვით შინაური მურია.
 თუ გტუქსავს, კული ანძრიე
 და ჩამოუფი ყურია.
 იყავ ბედისა მადლიერ:
 მუდამ გშია და გწყურია!“.

ეჰ, რალა ბევრი განვაგრძო
 ძრახვა ქვეყნისა ამისა!
 თვით ატმოსფერაც ამ კუთხის
 უმწარესია შხამისა.

ცივა და ბნელა ყოველგან,
 დაძწის შავის ტყის ნადირი
 და მალლით დინჯათ დაჰყურებს
 ცა, ცივ ცრემლ ჩამონატირი...
 თნისიშუ.

საახალლო ძღვენი

ქ. ბათუმს.

წინასიტყვაობა.

დაცდილი არის: ძნელია
 გაბზა ეშმაკის მახეში,
 თავს ვერ დაახწევ იმისგან,
 მუშტიც რომ სცემო სახეში!
 კარგი ხანია მივყუჩდი,
 ჩავიფალ სევდა-ნაღველში,
 აღარ მმორჩილებს კალამი
 სიცილ-ხუმრობის საქმეში,—
 მარა ეშმაკი აბა რის
 ეშმაკი არის, გრძნეული?
 შემოგინდება, შეგაცდენს,
 საშველს არ მოგცემს წყეული...
 და შენაც ხდები ჩიჩინით
 იმდენად გადარეული,
 რომ უჯერისარ... თავს იღვა
 საქმე საჭოქმანეული...

შუა სიტყვაობა.

მწერენ: „სწერეო ბათუმზე“...
 კაცო, რა ვწერო მკვდარზედა?!...
 გაჰხედავ ფართო, გრძელ ქუჩას—
 კაცს ველარ ხედავ მასზედა,
 დღეში ას-ასი ვაქარი
 გვიკვდება ბუზთა თვლაზედა,

ინტელიგენტნი მაგრობენ
 კლუბებში ღვინის სმაზედა,
 მათ განყინებულ გონებას
 ველარ მოიხმართ სხვაზედა...
 მუშები (ვინც კი გადარჩა)
 დადიან შორით, განზედა,
 აპარტყუნებენ ბანქოსა,
 როკვენ კამათლის ხმაზედა...
 გამონაკლისებს აბა ხომ
 ვერ ჩავთვლით სათვალავზედა?!

ჰო და, რაც უნდა ილექსო
 ასეთ გარდაცვლილ ხალხზედა,
 გარდა იმისა, რომ მათ „ღვაწლს“
 აღნიშნავ თეთრ ქადაღზედა,—
 არ გამოდნება სიკეთე,
 ვერ იმოქმედებ მაზედა.
 ლექსი კი არა, უროც რომ
 სცემა „ღირიუბლი“ *) თავზედა!

ჩავეყვით ქალაქსა მიცვლილსა,
 სამკვლრეთს ვეწვიოთ „ქებულსა“,
 ქაობთა ზედა ანაგებს,
 საბაყაყეში გდებულსა,
 მრავალ „საგმირო“ საქმისთვის
 მათრახის კუღით ცხებულსა,
 მარა კვალად შტერს, კვალადვე
 ქკუიდან გამოქცეულსა;
 თვისს პრაქტიკაში გართულებს
 ექიმებს ქანქარეულსა,
 იქ თავის დროზე ვერ ნახავთ
 თვითნებობასა ჩვეულსა!
 ყური მოგვარი ერთ რამეს,
 (საქვეყნო ამბათ ქცეულსა),
 ამბობენ: იქა კიდევო,
 ქანქარსა ეშმაკეულსა
 ერთმა ვაჟმაო მარცხადო
 წაუმარცხაო წყეულსა...
 ვიკითხოთ რათ არ დასჯიან
 იმ ქანქარებს შეჩვენებულსა,
 რომ ეწებება ჯიბეებს
 და გვიცდენს ვაჟებს ეულსა?...

ქალაქის თვითმართველობას
 რაღა შეეკადროთ ცხონებულს,
 ეძებენ ფულსა, ეძებენ...

*) „ღირიუბლი“ მსუბუქი, ჰაერ-მაგვარი
 ნივთიერებით (წყალბადი) განზერილ საფრენ
 მანქანას ეწოდება.

აგტ.

ათიანებს და ასეულს,
 ვერ უბოვიათ, უმისოთ
 ვინ რას უშველის წამებულს!...
 გიორგის ცქერა ვერ აძლებს
 მსახურთა ხახას დაღებულს...
 ვინ გაუსწორებს მეღუქნეთ
 ამათგან ვალებს აღებულს!...
 თავსა მუნ ველარ იხილავთ,
 პეტერბურგს შინა დაღებულს.

სახალხო უნივერსიტეტს
 ფიქრობენ: სძინავს შგებითა...
 სულაც არ სძინავს, მოგვიკვდა,
 ველარც აღგება მკვლრეთითა...
 ღმერთმა შეუნდოს... ცხონებულს
 რაღას ვაწუხებთ ლექსითა!...

„წილკანის“ განყოფილება
 აქაც გაიხსნა ქებული,
 და არის იგი მას შემდეგ
 თავდაღმა ჩამონგრეული...
 სექციის რიცხვი, ვით ზეცით
 მანანა ჩამოპნეული,
 გადმოგვაყარეს თავზედან,
 ვთქვი აწ არა ვართ ძლეული...
 სექცია ბიბლიოთეკის,
 სექცია ფინანსეული,
 სექცია პედაგოგების,
 სექცია თეატრეული...
 და კიდევ სხვათა და სხვათა,
 უთვალავ რიცხვით ქცეული...
 „რეჩების“ დენა ხახათგან
 ვერ იქნა გამოღეული,
 საქმე კი... საქმე სამარის
 კარზეა ჩამოთრეული!..

უკანა სიტყვაგობა

აქა შევწყვიტოთ, რადგანაც,
 არა ღირს წერა სხვაზედა,
 ცოდვია ქაღალდ-მელანი
 რომ დაიხარჯოს მათზედა...

კენტი.

მილოცვაები

(ლექსუმისათვის)
 ლევანს.

შგების ზღვაში ტურფა ნავით
 გადაეშვა კარგი არი,

მხოლოდ ზღვათ არ გამოდგება
ტალღის ნაშთი ერთი ცვარი;
უნდა მარად სატრფოს ხსნაზე
ოცნებობდეს მეგობარი,
ისევ აქეთ, ისევ აქეთ
წინ სვლას ითხოვს ჩვენი ზარი!..

ბიქტორს.

მშვენიერი მყუდრო ბინა
გადაგექცა ნაცარ-ფერფლად,
გახსოვდეს, ნუ დაივიწყებ
რას შესწირე იგი მსხვერპლად:
ბორკილები რასაც ჰქონდა
არ ახსნია ისევ ადევს,
ჩუმათ რომ ხარ, ნეტავ ტუჩზე
სავსე ყანწი ხომ არ გადევს?..

შოთას.

ვინც ძმის საფრავს მიგიფურთხა
იჯარადრობ მასთან ერთად,
პეტრეს ჰგევხარ იმ წუთისას,
რომ არა სცნო ქრისტე ღმერთად...
ადრე ვგრძნობდი რომ შენ ასე
გაიგებდი კარგსა და ავს,
წინ მიდიხარ, რაღა გიჭირს
მოგვილოცავს მოგვილოცავს!..

ბანოვანს.

დრო მიდის და აღარა სწერ,
თუ სწერ ერთობ გვიან გვიან...
ნეტავ ხომ არ მოგებარა
„მოხუცებას“ რომ ეტყვიან?!
იმედს ისევ ფრთები უნდა
გადაეფლოს არე-მარეს,
რომ კავშირი არ მოცილდეს
საოცნებო ტურფა მხარეს.

კაკოს.

საცოდავი კაცი გახდი
კისრად იდე ხარჯი დიდი,
ემშაკიდან ანგელოზთან
გაიყვანო გინდა ხიდი.
ემშაკს სანთელს უხვად უნთებ
არც ანგელოზს სწყდება გული,
პატრუქი სულ იწვის, იწვის,
და ფასად კი უნდა ფული...
რ. ლეჩხუმელი.

ახალი წელი.

ახალი წელი... ოჰ, ეს სიტყვები,
ბავშვური გრძნობით აღსავსე გულსა
შვებას უვლენდენ, აღფრთოვანებდენ,
და აღმიგზნებდენ მე სიხარულსა.
ამ დღისით თითქოს მთელს ჩვენს ცხოვრებას,
ჩემსა გარშემო ყოველისფერსა,
განახლებისა შუქი სჩნეოდა,
მზისა სხივებიც ცვლილობდენ ფერსა.

თვით მამიჩემის ლარიბი ქობიც
მეტის სიტურფით მეჩვენებოდა,
მას გამურული ფიცრის კედლები
ჩემსა ხედვაში დაჰმშვენებოდა.
და მამაჩემსა მუდამ მქმუნვარეს,
რომელიც თვის დღეთ ტანჯვაში ლევდა,
ამ დღისით სახე გაბრწყინებოდა,
თითქოს დუხქირ ბედს აღარ იწყევდა.
ის სხვა დრო იყო... ბავშვი ვიყავი,
ჩვენს მწარე ხვედრსა ჯერ არა ვცნობდი,
ოცნების ფრთებით ლაღათ მქროლავი
მხოლოდ მშობლების აღერსსა ვგრძნობდი.
წარვიდენ დრონი. აწ კი ცხოვრებამ
მომიგდო ქვეშა, დამაძაბუნა,
და მამიჩემის მძიმე უღელი
მე დამაკისრა, მე მომარგუნა.

და დღეს, როდესაც გონების თვალით
ვრცლათ გადავხედე ყოველსა მხარეს,
ვხედავ შრომის შვილთ უბადრუკობას,
მათ სისხლის გუბებს და ცრემლებს -მწარეს,
ვხედავ სიმართლეს დევნილ წამებულს,
ჩაგრულთა მხსნელებს ხელ-ფეხ გაბაწრულს,
სიმშილ-სიტეტელეს სიკვდილის ცელით,
ხალხის ერთგულ შვილთ იმედ გაბასრულს.

აღარ მახარებს ახალი წელი,
მასში რა ვპოვო ან გასახარო,
როს სიწყვდიადეს გამეფებულსა
კვალად მოუცავს მთელი სამყარო;
როს ბოროტება ცრემლების ზღვაზე
კვლავინდებურად თამამათ სცურავს,
ჩაგრული სწყევლის დღეს გაჩენისას
და კვალად მწარე ცრემლებს იწურავს...

მხოლოდ როდესაც დღეს შავად მოსილს
ფარდას გადახდის ბედკრული ხელი,
მაშინ მეც შევწყვეტ ჩემს დღეთა წყევას
და მომილოცეთ ახალი წელი.

ნაშემელ .

კაულანგული მემკვიდრეობა.

სულ რამოდენიმე საათია, რაც შვილმა საუკუნო სამარეს მიაბარა მოხუცი მამის ჩონჩხი! მიაბარს სამარეს და თითქო მოისვენა. სრულიად გამოუცდელი, ნორჩი, გულუბრყვილო ის უკვე დეპატრონა დაობლებულ ოჯახს: ყველგან თავისი წესი და თავისი ანგარიში შემოიღო.

საბრალო! მას არასოდეს არ უნახავს სიცოცხლეში ძვირფასი მშობელი. ის ერთხელაც არ დამტკბარა მისი მამობრივი მზრუნველობით, მისი მშობლიური აღერსით. მას მხოლოდ ცივი გვამი დახვდა საყვარელი მშობლისა; ის მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ეამბორა მის მკრთალ სახეს და საუკუნოთ განშორდა.

მაგრამ!.. მაგრამ ხანმოკლეა მწუხარება ქაბუკი გულისა! სულ რამოდენიმე საათია, რაც მან საუკუნო სამარეს მიაბარა გვამი მშობლისა და უკვე მემკვიდრეობაზე დაიწყო ზრუნვა.

მეისვე მოიწვია პირველი მოურავი, მან მოიწვია ცივი იანვარი და მას გაანდო თავისი საიდუმლოება.

— ეს ყოვლად შეუძლებელია!—ცივით უპასუხა იანვარმა.

— როგორ თუ შეუძლებელი! რა არის აქ შეუძლებელი! ნუ თუ მე არ მაქვს უფლება ერთად შევეკრიბო თორმეტივე ჩემი ხელქვეითი, თორმეტი ჩემი მსახური და მათ საჭირო საქმეზე ველაპარაკო?! იანვარს კვლად ცივმა ღიმილმა გადაურბინა თოვლივით თეთრსა და სპეტაკ სახეზე.

— თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ, ბატონო ჩემო, მე ბევრი, ძლიერ ბევრი ბატონი გამოვიცვალე, განსვენებული მამა თქვენიც, პაპა თქვენიც, ყველანი ასეთები იყვნენ პირველ ხანებში. ამიტომაც არ მიკვირს, რომ თქვენ ეხლავე ნებადაურთველი კრების მოწვევას აპირებთ. იცით რას ნიშნავს ესა? ეს ნიშნავს, მარტის კანონების მიხედვით, რამოდენიმე თვით ციხეში მიბრძანებას. მე კი სულაც არა მაქვს ამის ხალისი, ოცდა დერთმეტი წვრილშვილის პატრონი კაცი ვარ.

ქაბუკი შეკრთა. მას ვერ გაეგო რა უყო მამამ, სად მიაკარგა მისმა მშობელმა ხუთი წლის წინეთ შენაძენი უფლება თავისუფლათ შეკრებისა და ლაპარაკისა. აი აქედან დაიწყო მის გულში ზრდა მშობლის ხსოვნისადმი სიძულვილმა.

— წადი, გამეცალე და ჩემთან თებერვალი შემოაგზავნე!

მრისხანე კილოთი მიახალა ქაბუკმა გულცივი იანვარს. მოურავმა თავი დალუნა და გავიდა. მეორე კარებიდან ოთახში დაღვრემილი თებერვალი შემოიმატა. ის რაღაცა ავთომყოფსა და ნაკიან ადამიანს უფრო ჰგავდა, ვიდრე ღონიერსა და მსუქან მოურავს.

— აბა რას იტყვი მეგობარო! შეეკითხა ქაბუკი. მე განვიზრახე ჩემს მამულში თავისუფალი შრომა გავამეფო. მინდა საყოველთაო სწავლა, საყოველთაო ბედნიერება დავამყარო.

თებერვალს სახე გაუსივდა. თვალეში წყალი მოადგა, ექვიანათ მხრები აიჩინა.

— როგორ! განა არა გჯერა? არა გჯერა რომ ასეთია ჩემი განძრახვა?

— მჯერა ჩემო ბატონო! მჯერა თქვენი განზრახვა ჩემო ახალგაზრდა ბატონო, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია. შრომის თავისუფლება აბა რა საფიქრებელია ჩვენს დროში.

თავისუფალს შრომას ხომ გაფიცვის თავისუფლება სჭირია და გაფიცვისათვის ხომ გადასახლება აუცილებელია?! არა, ბატონო, არა! ეგ შეუძლებელია, შეუძლებელი!

ქაბუკი უმეტეს განრისხდა და თებერვალი მეისვე განაძევა.

— წადი გამშორდი!

თებერვალი ბუზღუნით გავიდა და მის მაგივრათ ოთახში შემოილილი მარტი შემოიკლაცნა. მის სახეს აშკარათ ეკრა მისი დაუდგარი ხასიათის კვალი. როცა ცალი თვალი, ღიმილის სხივით უელავდა, მეორე თვალისა და ცრემლის ნაკადი სდიოდა.

— იცი, ძვირფასო, დაიწყო მემკვიდრე. ჩვენი საქმე, როგორც ვატყობ ერთობ აწეწილ დაწეწილია, ჩვენ უთუოდ უნდა შევსცვალოთ, ძირიანათ უნდა გადავასხვაფეროთ ჩვენი ცხოვრება. განა ვერა ხედავთ, თუ რა რიგ..

— სსსს.! დაისისინა მარტმა და ტუჩზე ხელი მიიფარა.—ფრთხილად, გესმისთ ფრთხილად! ოჰ, ახალგაზრდობავ, ახალგაზრდობავ! იცით, ბატონო, რას იმზადებთ, რა საფრთხეს იმზადებთ მომავლისათვის! ოჰ, რომ იცოდეთ, რომ იცოდეთ! „ცხოვრების გამოცვლა!“ ეს ხომ დიდი ძლიერ დიდი დანაშაულია! ეს ხომ კატორგას ნიშნავს!

მარტი ოდნავ მოიქმუნხა, თითქო ცივმა ჟრუანტელმა დაუარაო, საშინლათ გააჟრჟოლა, მაგრამ ისევ მალე უკუიყარა წუთიერი მწუხარება და სახე ღიმილით გაიმზიარულა.

ახალგაზრდა მემკვიდრე კი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. ის უკვე აშკარა უმადურობით იხსე-

1582
1911

წიებდა თავის მშობელ მამას, პაპას, პაპის პაპას, რომლებმაც ასე ულაზათოდ, ასე დაუზოგავათ გაფლანგეს ნაანდერძევი ქონება. მან მოიწვია თითოეულად ნორჩი აპრილი, მხიარული მამისი, სიაცოცხლით სავსე იენისი, ოქროსთმიანი ივლისი, ფერადი აგვისტო, მდიდარი სექტემბერი, ყველას გააცნო თავისი გულის პასუხი, მაგრამ ყველანი ახალ-ახალ დაბრკოლებას უჩვენებდნენ და გულდაკოდილ ქაბუკს უარეს ყოფაში ავლდებდნენ.

— შემომიგზავნე ოქტომბერი! მრისხანეთ მიაძახა მან სექტემბერს და ოთახში მოუთმენლად სიარული დაიწყო.

— რას ინებებთ ბ-ნო ჩემო! ხრინწიანის ხმით და მოწიწებით მოახსენა მას სახე ჩაყვითლებულმა მოხუცმა.

— თქვენა ხართ ოქტომბერი? ნუ თუ თქვენა ხართ ის ოქტომბერი! თქვენ სრულიად არა ჰგევხართ იმ ოქტომბერს!

— ამდენი ტანჯვის შემდეგ, თქვენ დალოცვილო, ამ ჯანზედაც რომ ვარ საკვირველია! დიახ, საკვირველია.

— რა იქნა, რა წყალმა წაიღო თქვენი ნაანდერძი, თქვენი მონაგარი, თქვენი შენაძენი! რა უყავით თქვენი დაპირებანი, რა ქარს გაატანეთ?

— ეჰ, ქაბუკო არ გეკადრებათ ჩემს უბედობაზე ასე ურცხვად ლაპარაკი. მე ყოველივე მაშინვე გადავეცი ჩემს ამხანაგებს. გადავეცი ჩემს მეზობლებს. აი იმათ მოჰკიახე. ნოემბერი გეტყვის, ვინ გაიტაცა ჩემი ნაამაგარი; დეკემბერი გაიმბობთ ვინ გაატანა კვამლს, ზეცად მავალს, ჩემი ანდერძი. თქვენს წინაპრებს ჰკითხეთ, თქვენს მამას, თქვენს პაპას, თქვენს პაპის პაპას.

გაყვირებული მოურავი მწარეთ აქვითინდა, სიმწრის ოფლი მოიწმინდა დამქნარი სახიდან და ბარბაცით გავიდა.

ნორჩი მემკვიდრე უხმოთ ჩაიკეცა სავარძელში, თვალეზე ხელი მიიფარა და მწარეთ ჩაფიქრდა. გაძარცვული ოჯახის მოწესრიგება მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. არსით სხივი იმედისა, არსით ნუგეში დახმარებისა, არსით ხმა გამხნეებისა არ მოისმოდა.

ერთილა დარჩა გზა ცხოვრებაში და მართლაც მეორე დღეს უკვე მთვრალი და სულთმობრძავი იპოვეს იატაკზე მდებარე.


აწეწილი ოჯახი ისევ მოურავების ანაბარა დარჩენილიყო.

1911 წლის 1 იანვრიდან

გამოდის უოველ-კვირეული იუმორისტული ჟურნალი

„მშმასკის მახე“

წლიური ფასი: 5 მან., 6 თვით—2 მ. 50 კ. ერთი თვით 50 კაპ., ცალკე ნომერი 10 კაპადრესი. Тифლისь. Типографія Кере селидзе. Грибоѣдовская 34. для журна ла „Мшмакись Махе“.



შობის სე მოსრდილთათვის.

რედაქტორ-გამომცემელი ბაიოზ ჯაფხაძე.

თბილისი. ელიტრო მშეკლავი სტამბა ესტატე ს. კერესელიძისა, გოლოვინის პროსპექტი. № 42.